

“საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი გვარი

თარიღი..... 2017 წელი

VIII კლასი

1.1. ყურადღებით გაეცანით მოცემულ აზრებს. დაალაგეთ ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით (მაგალითად, 1 - დ)

ა) ცნობილია, რომ ინკები კარგად ფლობდნენ ასტრომონიას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ქირურგიას, აგრონომიას და ა.შ. ამას მოწმობს მათი კალენდარიც, რომლის მიხედვითაც, წელიწადი იყოფოდა ოთხ დროდ და მთვარის თორმეტ თვედ. თვეში 29 დღე იყო. წლის ბოლოსთვის უმატებდნენ რამდენიმე დღეს, რაც, მათი გამოთვლით, სრულ წელს აკლდა. ეს იყო თანამედროვე კალენდრის 30-ე და 31-ე დღეები.

ბ) ინკები, ანუ „მზის შვილები“ ინდიელთა უძველესი ტომი იყო. ისინი სამხრეთ ამერიკაში, დღევანდელი პერუს ტერიტორიაზე, ცხოვრობდნენ. მეცნიერთა მოსაზრებით, ტიტაკაკას ტბის სანაპიროზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები. ერთ-ერთმა ტომმა, კეჩუამ, მიატოვა ეს ადგილები და ჩრდილო-დასავლეთისკენ, მდინარის ნაპირას, დასახლდა. 100 წლის შემდეგ კეჩუას ტომმა დააარსა ქალაქი, რომელიც ინკების სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. ამ ქალაქს ერქვა ხოსხო, რაც მათ ენაზე ცენტრს, ჭიპს, მოცემულ შემთხვევაში კი დედამიწის ცენტრს ნიშნავდა. ამ ტომმა დაიქვემდებარა მეზობელი ტომები და მაღალგანვითარებული იმპერია შექმნა.

გ) ინკების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ისიც, რომ მათ საკუთარი ენა ჰქონდათ, უკრავდნენ სასულე და დასარტყამ ინსტრუმენტებზე; კერამიკისა და სხვა მასალისგან ამზადებდნენ ულამაზეს ჭურჭელსა და სხვადასხვა ორნამენტით შემკულ ნივთებს; მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ ოქროსა და ვერცხლს.

დ) ინკების იმპერია ძალზე დიდი და ძლევამოსილი იყო, მაგრამ მასში მცხოვრებ ტომებს შორის არ არსებობდა ერთიანობა, რითაც ისარგებლეს ევროპელებმა. კერძოდ, მე-16 საუკუნის დასაწყისში დაიწყო ესპანელთა შემოსევები. მათ სურდათ, ხელში ჩაეგდოთ ინკების სიმდიდრე, რასაც მიაღწიეს კიდეც. ასე დაეცა და განადგურდა ინკების ერთ დროს მდიდარი და უძლველი იმპერია.

ე) მოგვიანებით, როდესაც ინკების სახელმწიფო კონკისტადორებმა დაიპყრეს (ისინი გადატაკებული ესპანელი ვაჭრები და ოქროს მამიებლები იყვნენ), ამ ქალაქის სახელი შეცვალეს და მას კუსკო უწოდეს. იგი ისტორიაში დღემდე ასე მოიხსენება. კუსკოში

ინკებმა ააგეს შესანიშნავი ტაძრები. ისინი მზის თაყვანისმცემლები იყვნენ და სწორედ ამიტომ ყველაზე ლამაზი და დიდებული მათს ქალაქში მზის ტაძარი იყო. აქ მხოლოდ მმართველს, ინკას, ჰქონდა შესვლის უფლება. ტაძრის შიდა ნაწილი და ეზო ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული ფიგურებით იყო მორთული.

- 1-
- 2-
- 3-
- 4-
- 5-

1.2. მოცემული სათაურები მიუსადაგეთ კონკრეტულ აბზაცებს (ნიმუში: ა - 1). გაითვალისწინეთ, 3 ვარიანტი ზედმეტია.

- 1. ინკების იმპერიის დასასრული
- 2. ინკების იმპერიის განვითარების ახალი ეტაპი
- 3. ინკების იმპერიის მემკვიდრეობა
- 4. მაღალგანვითარების დამატებითი ნიშნები
- 5. ინკების იმპერიის ძლევამოსილება
- 6. ინკების იმპერიის სტრუქტურა
- 7. ინკების იმპერიის დაფუძნება
- 8. მაღალგანვითარების ნიშნები

- ა-
- ბ-
- გ-
- დ-
- ე-

1.3. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და თქვენი სიტყვებით დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი. გაითვალისწინეთ, არ შეიძლება ტექსტიდან ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების გადმოწერა.

პატარა ბიჭი გოლოგოთაზე

ავტორი: რევაზ ინანიშვილი

მე მაშინ მეგონა, რომ მამა უკვე ხნიერი იყო, ოცდათექვსმეტი წლისა, ებარა სოფელი - მხრებგაშლილს, მკერდგანიერს. ყველასთან მამა უნდა გაჩერებულიყო - ზოგს უცინოდა, ზოგს უწყრებოდა. გულის გვისივდებოდა, თუ სადმე მივდიოდით მასთან ერთად. ყველა მას უნდა გამონთებოდა ეზოდან, ყველას მისთვის უნდა გადაეღობა გზა.

და უცებ - დაიჭირეს. მამაც დაიჭირეს, პაპაც და ბიძიაც. დაიჭირეს ქვეყანაც. - რაღაცა გეშლებათო, - თურმე სულ იცინოდა მამა. პაპა და ბიძა მალე გააცილეს ციხეს, სხვადასხვა ადგილას ჩაკარგეს შორეულში. მამაც იკარგებოდა, დაიკარგებოდა, არავინ არაფერი იცოდა მისი და უცებ მოვიდოდა ხმა, რომ ცოცხალი იყო. ხორცებს იჩლექდა ბებია, აწამებენო, აწამებენო.

ნოემბრის ბოლოს, შეღამებულზე, შემოიპარა ჩვენთან, ჩვენს ოთახში, მამას ბავშვობის მეგობარი ვანო: ხვალთ, დილითო გათენებისასო, სასამართლოში მოიყვანენო. თუ ყველანი წამოხვალთ, კარგი იქნება, დაგინახავთ და დარწმუნდება, ყველანი რომ ცოცხლები ხართო.

ოთხზე ფეხზე ვიყავით, სამნი მივდიოდით: დედა, მე და ჩემი და. ვანო ძია ბნელ ხიდთან დაგხვდა. ჩვენთან კი არ მოსულა, ისე წაგვიძღვა წინ. ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით. შესახვევებთან ჩერდებოდა, მერე ისევ მიდიოდა. ბოლოს ისევ მთლად ბნელში- მოვედითო. იდგა დიდი, მრისხანე სახლი. დიდხანს არ გაჩერდეთო. წავიდოდით, მოვიდოდით, ვიყავით, ვწრიალებდით. ბოლოს მოვიდა ხმა - მოიყვანესო. გაიხსნა მანქანის უკანა კარი, გადმოხტნენ თოფიანი ჯარისკაცები, გააკეთეს წრე. ჩამოლოდნენ მანქანიდან პატიმრებიც, შავები, დალულულები. ამაოდ ვეძებდი მამას.

გაიქეცი შენ და შედი შიგნით, - მიბრძანა ვანო ძიამ. მე გავიქეცი. არავის უკითხავს, ვინ ვიყავი. ავედი დიდ სინათლეში დიდ კიბეზე. კიბე ორად გაიყო, საით ავსულიყავი? ვყოყმანობდი, მომესმა მკაცრი ხმა, კედელს მივეკარი. გაკანკული იყო ირგვლივ ყველაფერი. მარტო კარისკაცები მოდიოდნენ ძგრივით - ერთი ჯარისკაცი, ერთი პატიმარი. მოვიდნენ სულ ახლოს. იმ საცოდავ ჯარისკაცებში აღარც კი ვეძებდი მამას, ისინი ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. ერთი ხომ მთლად სახიჩარი იყო, ორივე ფეხით კოჭლი, პატარა, საქამრემდე სწვდებოდა წინა ჯარისაკაცს ... და აი, ამ პატარა პატიმარმა დაიწყო ჩემკენ ყურება. გამიცინა და ხელიც ასწია ოდნავ ზემოთ, რხევით. მიყურებდა უკან შემობრუნებულიც. მე შევკრთი, მე ვიცინი, მე რაღაც ცუდი დამემართა. ის ძლივს ადიდოდა საფეხურიდან საფეხურზე, ერთხელაც მომხედა სიცილით მაღლიდან ... მაგრამ მე იმ ღიმილს ღიმილს ვერ დავარქმევდი. ის იყო ... ის იყო რაღაც უცნაური თქმა: აი, რად გადავიქეცი მეო. მხედავო? მხედავო? ჩემს ნახევრად, ჩემს ნასამედად გადავიქეცი მეო ...და წავიდა, ავიდა მაღლა და იქ შეერია ცას ...

3. გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და არგუმენტირებულად იმსჯელეთ, რამდენად ეთანხმებით მას (გაითვალისწინეთ, ორი-სამი წინადადებით წარმოდგენილი ტექსტი არ შეფასდება).

- არსებობს მოსაზრება, რომ საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა ხელს უწყობს მოზარდის ჩართვას სასწავლო პროცესში.
